

სოციალური კვლევისა და ანალიზის
ინსტიტუტი, 2016

აჭარის
მაღალმთიანი
რაიონების
ბაზრის კვლევა

სარჩევი

მეთოდოლოგია.....	2
ძირითადი მიგნებები:	4
D. დემოგრაფიული ბლოკი.....	6
A. მეურნეობის აღწერა და პროდუქციის რეალიზაცია.....	10
B. სოფლის მეურნეობის, მრეწველობის, ტურიზმის/მომსახურების პრიორიტეტები.....	32
C. ოჯახის ეკონომიკური მდგომარეობა	45
E. ფოკუს-ჯგუფების შედეგების ანალიზი	47

მეთოდოლოგია

აჭარის მაღალმთიან რაიონებში (ქედა, შუახევი, ხულო) ჩატარებული კვლევა მიზნად ისახავდა სასოფლო-სამეურნეო ბაზრის შესწავლას, მოსახლეობის სასოფლო მეურნეობების აღწერასა და მომსახურების სხვადასხვა სფეროებისადმი ინტერესისა და ამ სფეროებში მათი კვალიფიკაციის შეფასებას.

კვლევის მთავარ ამოცანებს წარმოადგენდა:

1. აჭარის მაღალმთიანი რეგიონის მოსახლეობის სოფლის მეურნეობის აღწერა - მეურნეობებში არსებული რესურსებისა და წამყვანი დარგების გამოკვეთა;
2. სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის რეალიზაციის, მისი შეფასებისა და მასთან დაკავშირებული სხვადასხვა საკითხების შესწავლა;
3. მოსახლეობის ინტერესისა და კვალიფიკაციის შესწავლა როგორც სასოფლო-სამეურნეო, ისე სხვა დარგების, მათ შორის ტურიზმისა და სერვისების სხვა სფეროების მიმართ.

პროექტი მოიცავდა როგორც რაოდენობრივ, ისე თვისებრივ კვლევებს.

თვისებრივი კვლევის ფარგლებში ჩატარდა ფოკუს-ჯგუფები ქედის შუახევის და ხულოს მუნიციპალიტეტებში. დისკუსიები ჩატარდა ორ სამიზნე ჯგუფთან - ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლებთან და ადგილობრივ მეწარმეებთან:

	ქედა	შუახევი	ხულო
ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლები	1	1	1
ადგილობრივი მეწარმეები	1	1	1

ჯამში ჩატარდა 6 ფოკუს-ჯგუფი და მოხდა მათი შედეგების ანალიზი.

რაოდენობრივ კვლევის შერჩევის ზომა იყო 478 რესპონდენტი. კვლევის მონაწილეები გამოიკითხნენ ქედის, შუახევისა და ხულოს მუნიციპალიტეტებში შემავალი 50 სოფლიდან. მუნიციპალიტეტების მიხედვით რესპონდენტთა რაოდენობა და სანდოობა შემდეგნაირია:

	ქედა	შუახევი	ხულო	საერთო
რესპ. რაოდენობა	158	159	161	478
ცდომილება (95%-იანი სანდოობით)	7.7%	7.7%	7.7%	4.5%

საველე სამუშაოები მიმდინარეობდა 15 დღის განმავლობაში, რომელშიც ჩართული იყო 1 სუპერვაიზორი და 30 ინტერვიუერი. საველე სამუშაოების პარალელურად განხორციელდა საველე სამუშაოების კონტროლი (გაკონტროლდა საერთო რაოდენობის 10%). ინტერვიუები ხორციელდებოდა პირისპირ ინტერვიუს მეთოდით, პლანშეტური კომპიუტერების გამოყენებით, რომლებშიც ჩატვირთული იყო კვლევისთვის შემუშავებული კითხვარის ელექტრონული ვერსია.

მონაცემთა შეტანა და დამუშავება: საველე სამუშაოების კონტროლის დასრულების შემდგომ მოხდა მონაცემების კოდირება და SPSS-ის პროგრამაში (წინასწარ შექმნილ ბადაში) შეყვანა. მონაცემების შეყვანის შემდგომ მოხდა SPSS ფაილის გაწმენდა, მონაცემების შეწონვა და დამუშავება. მონაცემების დამუშავება განხორციელდა სხვადასხვა მეთოდებით, მაგ: მონაცემთა სიხშირული განაწილება, საშუალოების დათვლა, კროსტაბულაცია და ა.შ.

ძირითადი მიგნებები:

აჭარის მაღალმთიანი რეგიონის მოსახლეობის ძირითადი საქმიანობა და შემოსავლის წყარო სოფლის მეურნეობაა, თუმცა მათი დიდი ნაწილი სოფლის მეურნეობისთვის განკუთვნილ რესურსებს მცირე რაოდენობით ფლობს. ეს ეხება როგორც მიწას, ისე შინაურ ცხოველებსა და ფრინველებს. ასევე, ოჯახების საკმაოდ დიდი ნაწილის არ ფლობს ისეთი ხანგრძლივი მოხმარების საგნებს, როგორცაა ავტომობილი (68%-ზე მეტი) ან პერსონალური კომპიუტერი (63%).

მიუხედავად მცირე რესურსებისა, ოჯახების აბსოლუტური უმრავლესობა ფლობს სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწას და მოჰყავს სხვადასხვა კულტურები. რეგიონში წამყვანი კულტურებია კარტოფილი, ხეხილი, ბოსტნეული-ბაღჩეული, სიმინდი და თხილი. მართალია, თამბაქო სხვა კულტურებს გავრცელებით ჩამორჩება, თუმცა მიღებულ მოსავალში რეალიზებული წილი მის შემთხვევაში ძალიან მაღალია (87%).

რაც შეეხება შინაურ ცხოველებსა და ფრინველებს, ქედისა და შუახევში ყოველი მერვე ოჯახის მეურნეობაში პროდუქტიული შინაური ცხოველები და ფრინველები შედიან, ხულოს მუნიციპალიტეტში კი - ყოველი მეშვიდე ოჯახისაში. ამ დარგში სამივე მუნიციპალიტეტში წამყვანი მსხვილფეხა რქოსანი საქონლის მეურნეობაა. შესაბამისად, წარმოებულ პროდუქტებს შორის დიდი წილი სწორედ მათ ხორცს, რძესა და ყველს უკავია. ასევე, ოჯახებში საშუალოდ 2-ზე მეტი შინაური ფრინველია, თუმცა ფრინველებისგან მიღებული პროდუქციის ძირითად ნაწილს ოჯახი საკუთარი მოხმარებისათვის იყენებს.

რეალიზაციის თვალსაზრისით მოწინავე პროდუქცია არის მსხვილფეხა რქოსანი საქონლის ხორცი, რძე, ყველი და ასევე, თაფლი, რომელიც მართალია, ოჯახების მხოლოდ 7%-ს მოჰყავს, თუმცა მისი 2/3 ნაწილი ფერმერების მიერ გასაყიდად გამოიყენება.

ადგილობრივი ფერმერები რეალიზაციისთვის ძირითადად ორ გზას მიმართავენ - ისინი თავიანთ პროდუქციას ან საბითუმო ფასად აბარებენ ბაზარში, ან უშუალოდ, ან მათი ოჯახის წევრები ყიდიან. ძირითადად, ისინი რეალიზაციით უფრო მეტად უკმაყოფილონი არიან, ვიდრე კმაყოფილები და მთავარი მიზეზი თითქმის ყველა სახის პროდუქტისთვის მისი დაბალი სარეალიზაციო ფასია.

აჭარის მაღალმთიანი რეგიონის წარმომადგენლების ნახევარზე მეტი თავიანთ მუნიციპალიტეტებში სოფლის მეურნეობის განვითარებას აფასებს, როგორც საშუალოს. ისინი აღნიშნავენ, რომ თავიანთ რაიონებში ყველაზე დიდი პოტენციალი აქვს მეცხოველეობას, მეფუტკრეობას, თხილისა და კარტოფილის მოყვანას. თუმცა, ინტერესის მიუხედავად, დიდი ნაწილი ფინანსური რესურსების, ან სამუშაო ძალის სიმცირის გამო არ არის დაკავებული ამ დარგებით.

აჭარის მაღალმთიანი რეგიონის მცხოვრებლების დიდი ნაწილი არ ფლობს ინფორმაციას სხვადასხვა სასოფლო-სამეურნეო პროექტების შესახებ და მათი დიდი ნაწილი სწორედ ამის გამო არაა მათში ჩართული. ისინი კი, ვინც ფლობენ ინფორმაციას და პროგრამებით სარგებლობენ კიდევ, კმაყოფილების მაღალი დონით არ გამოირჩევიან. საერთო ჯამში, არცერთმა პროგრამამ არ მიიღო საშუალოზე მაღალი ქულა მათი შეფასებისას. ფოკუს-ჯგუფებში ამის მიზეზად დასახელდა ადგილობრივ ფერმერთა ინტერესებისა და რელიეფის თავისებურებების გაუთვალისწინებლობა, გაუმართავი პროექტების მენეჯმენტი, არასაკმარისი ინფორმაცია და ა.შ.

როგორც რაოდენობრივ, ისე თვისებრივ კვლევებში აჭარის მაღალმთიანი რეგიონის ტურისტული პოტენციალი გამოიკვეთა. აღსანიშნავია, რომ ადგილობრივი მოსახლეობის მხრიდან ტურიზმის სხვადასხვა დარგში კვალიფიკაციის ამაღლების კუთხით საკმაოდ მაღალი დაინტერესებაა იმის გათვალისწინებით, რომ ამ სფეროში საკუთარ კვალიფიკაციას რესპონდენტები საკმაოდ დაბალ შეფასებას აძლევდნენ. ინტერესი მაღალია ასევე საკვები პროდუქტების გადამუშავების სფეროს მიმართაც, სადაც, ტურიზმისგან განსხვავებით, საკუთარ კვალიფიკაციას რესპონდენტები საშუალოდ მაღალი ქულით აფასებდნენ.


როგორც რაოდენობრივ, ისე თვისებრივ მონაცემებზე დაყრდნობით შეიძლება ითქვას, რომ ერთი მხრივ, იკვეთება ფერმერთა გადამზადების, ან კვალიფიკაციის ამაღლების ხელშეწყობის საჭიროება და მეორე მხრივ, ადგილობრივების ინტერესი მსგავსი წამოწყებების მიმართ.

D. დემოგრაფიული ბლოკი

რაოდენობრივი კვლევა გულისხმობდა რესპონდენტების შესახებ სხვადასხვა სტატისტიკური მონაცემის შეგროვებას. კვლევის ინსტრუმენტი შეიცავდა შეკითხვებს სქესის, ასაკის, განათლების, დასაქმების, ოჯახური მდგომარეობისა და ოჯახის ზომის შესახებ.

გამოკითხულთაგან 54.2% იყო კაცი, ხოლო 45.8% - ქალი.


დიაგრამა D1



კვლევაში მონაწილეთაგან 65.3% 45 წლის ან უფროსი ასაკის იყო.

დიაგრამა D2

ოჯახური მდგომარეობა




N=478

რესპონდენტთა უდიდეს უმრავლესობას შეადგენდნენ დაქორწინებულები, 7.7%-ს - დაუქორწინებულები, ხოლო 6.5%-ს - ქვრივები.


გამოკითხულთა ყველაზე დიდი წილი - 44% აღნიშნავს, რომ ის თვითდასაქმებულია, 12.4% საჯარო სექტორშია დასაქმებული, ხოლო 7% კერძო სექტორში. ასევე, თითქმის 14%-ს შეადგენენ პენსიონერები და 13.6%-ს - უმუშევრები.

დიაგრამა D3



გამოკითხულთა ნახევარზე მეტის (52.7%) ბოლო დასრულებული განათლება სრული საშუალო განათლებაა, ხოლო მეხუთედზე მეტისთვის (21.2%) - სრული უმაღლესი.

დიაგრამა D4




რესპონდენტთა ოჯახები საშუალოდ ოთხი 16 წელზე უფროსი წევრისგან შედგება (Mean=4.03). ოჯახების მხოლოდ 37%-ში გვხვდება 3 ან ნაკლები სრულწლოვანი წევრი.

გამოკითხულთა ოჯახები საშუალოდ 5-წევრიანია, 41%-ზე მეტის ოჯახი კი 6 ან მეტ წევრს ითვლის.

დიაგრამა D5

N=478


რამდენი წევრისგან შედგება თქვენი ოჯახი?



A. მეურნეობის აღწერა და პროდუქციის რეალიზაცია

ოჯახის საკუთრებაში არსებული მეურნეობისა და სამეურნეო რესურსების აღსაწერად გამოყენებულ იქნა კითხვები ოჯახის ხელთ არსებული სხვადასხვა უძრავი თუ მოძრავი ქონების, ინსტრუმენტებისა და ხანგრძლივი მოხმარების სხვა საგნების შესახებ.

დიაგრამა A1:




- გამოკითხულთა დიდი ნაწილი აღნიშნავს, რომ მისი ოჯახი არცერთ ავტომობილს არ ფლობს. საერთო მონაცემებში ასეთი ოჯახების წილი 68.6%-ია. ერთი ავტომობილი ჰყავს 28.3%-ს, ხოლო ერთზე მეტი - 1%-ზე ნაკლებს. რაც შეეხება მონაცემებს რაიონების მიხედვით, ქედისა და ხულოში დაახლოებით მსგავსი სურათია (შესაბამისად, 66.5% და 67.7%), ხოლო შუახევში გამოკითხულთაგან შედარებით უფრო მეტს, 73%-ს არ ჰყავს ავტომობილი.
- რესპონდენტების 78.6% აღნიშნავს, რომ მისი ოჯახი არ ფლობს ტრაქტორს.
- აჭარის მაღალმთიანი რეგიონების წარმომადგენელთაგან პერსონალურ კომპიუტერს ფლობს 36.7%. სამიზნე რეგიონებიდან ყველაზე ნაკლებად „კომპიუტერიზირებული“ არის ქედა, სადაც ხულოსა და შუახევთან შედარებით, 5%-ით ნაკლებ ოჯახშია პერსონალური კომპიუტერი.

- ინტერნეტი ოჯახში აჭარის მაღალმთიან რეგიონებში მცხოვრებთა მეხუთედს აქვს. ყველაზე მეტად „ინტერნეტიზირებული“ რეგიონია ხულო, სადაც ინტერნეტი ოჯახების მეოთხედზე მეტს (26.7%) აქვს, ხოლო ყველაზე ნაკლებად ინტერნეტზე სახლში ხელი მიუწვდება ქედის მოსახლეობას, რომელთაგან მხოლოდ 14.6%-ს აქვს სახლში ინტერნეტი.

რაც შეეხება სხვადასხვა სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების ინსტრუმენტებსა და აპარატებს, კვლევის შედეგები შემდეგნაირია:


დიაგრამა A2:



გამოკითხულთა უდიდესი ნაწილი აღნიშნავს, რომ მათ ოჯახში პროდუქტიული შინაური ცხოველები და ფრინველები ჰყავთ. შინაური ცხოველებისა და ფრინველების მფლობელ ოჯახთა ყველაზე დიდი პროცენტული რაოდენობა არის ქედაში - 86.7%, ხოლო მისგან განსხვავებით, ხულოს მუნიციპალიტეტში 12%-ით უფრო ნაკლები ოჯახია მეფრინველეობა-მეცხოველეობით დაკავებული.

დიაგრამა A3:

ჰყავთ პროდუქტული ან მუშა შინაური ცხოველები და ფრინველები



N=478

აჭარის მაღალმთიან რეგიონებში მცხოვრებთა ოჯახებში შემდეგი შინაური ცხოველები და ფრინველები გვხვდება - ქათამი/ინდაური/იხვი, ძროხა/კამეჩი/წიწილა, ჭუკი/ჭუჭული.

გარდა ზემოთ ჩამოთვლილი ცხოველებისა და ფრინველებისა, აჭარის მაღალმთიან რაიონებში ოჯახების ნახევარზე მეტს ჰყავს უშობელი ან ზაქი. ასევე, თითქმის მესამედს ჰყავს მოზვერი.

ცხრილი A1: შინაური ცხოველებისა და ფრინველობის ფლობა

დასახელება	რაიონი			სულ
	ქედა	შუახევი	ხულო	
ძროხა, კამეჩი	92.0%	99.2%	95.0%	95.0%
ხარი	5.8%	14.4%	2.5%	6.9%
ცხვარი, თხა	0.7%	0.8%	0.8%	0.8%
ბოცვერი	1.5%	0.0%	0.0%	0.5%
ღორი	0.7%	0%	0.8%	0.6%
ქათამი, ინდაური, იხვი	73.0%	37.9%	26.6%	47.1%
ვირი, ჯორი	2.2%	1.5%	0.0%	1.2%
ფუტკრის სკა	12.4%	2.3%	5.0%	7.1%
ცხენი	0%	0.8%	0.0%	0.2%
უშობელი, ზაქი	49.6%	52.3%	55.8%	52.6%
მოზვერი	24.8%	27.3%	35.8%	29.4%
თიკანი, ციკანი	0.0%	1.5%	0.0%	0.4%
ბაჭია	0.7%	0.0%	0.0%	0.3%
წიწილა, ჭუკი, ჭუჭული	32.1%	10.6%	0.8%	15.2%
გოჭი	1.5%	0.0%	0.0%	0.5%
ჩოჩორი	0.7%	0.0%	0.0%	0.3%
კვიცი	0.0%	0.8%	0.0%	0.2%

N=478

მონაცემები აჩვენებს, რომ ქედაში მცხოვრებლები უფრო მეტად არიან დაკავებული ფუტკრის სკების მოყვანით, ვიდრე დანარჩენ ორ რაიონში. ასევე, მათი უფრო დიდი ნაწილი ფლობს ქათმებს, ინდაურებს და იხვებს, ისევე, როგორც წიწილებს, ჭუკებს ან ჭუჭულებს.

შუახევეში მცხოვრებლების უფრო დიდი ნაწილი ფლობს ხარს, ვიდრე ხულოს ან ქედის მოსახლეობა. სხვა მხრივ, აღსანიშნავია, რომ შუახევისა და ხულოს ფერმერების საქმიანობებში ცხოველებისა და ფრინველების თვალსაზრისით ისეთი განსხვავებები არ არის, როგორც მათსა და ქედაში მცხოვრები ფერმერების შემთხვევაში.

რესპონდენტებს დაესვათ შეკითხვები იმის თაობაზე, თუ რა რაოდენობით პროდუქციას აწარმოებენ ზემოთ აღნიშნული ცხოველებისა და ფრინველების მეურნეობით და ასევე, რამდენის რეალიზაციას ახდენენ ისინი. ქვემოთ მოცემულია პროდუქციის საშუალო რაოდენობები იმ ფერმერებისათვის, რომლებიც აღნიშნულ პროდუქციას აწარმოებენ:

ცხრილი A2: შინაური ცხოველებისა და ფრინველებისგან ნაწარმოები პროდუქცია

პროდუქტის დასახელება	ქედა	შუახევი	ხულო	სულ
ძროხის/კამეჩის რძე (წარმოებული კვირაში ლიტრებით)	38.60	36.65	59.45	45.78
ძროხის/კამეჩის რძე (რეალიზებული კვირასი ლიტრებით)	1.53	2.78	9.71	4.75
ძროხის/კამეჩის ყველი (წარმოებული კვირაში კილოგრამებით)	4.26	4.31	8.23	5.70
ძროხის/კამეჩის ყველი (რეალიზებული კვირაში კილოგრამებით)	0.70	0.65	4.21	1.93
ძროხის/კამეჩის კარაქი (წარმოებული კვირაში კილოგრამებით)	1.30	8.08	2.28	3.33
ძროხის/კამეჩის კარაქი (რეალიზებული კვირაში კილოგრამებით)	0.15	0.78	0.54	0.52
ძროხის/კამეჩის მაწონი (წარმოებული კვირაში კილოგრამებით)	5.48	6.50	5.28	5.64
ძროხის/კამეჩის მაწონი (რეალიზებული კვირაში კილოგრამებით)	0.02	0.27	0.01	0.08
ძროხის/კამეჩის ხორცი (წარმოებული წელიწადში კილოგრამებით)	111.76	65.48	143.91	120.75
ძროხის/კამეჩის ხორცი (რეალიზებული წელიწადში კილოგრამებით)	76.00	49.81	112.20	89.92
ძროხის/კამეჩის ხაჭო/ნადული (წარმოებული კვირაში კილოგრამებით)	2.27	4.03	3.06	2.84
ძროხის/კამეჩის ხაჭო/ნადული (რეალიზებული კვირაში კილოგრამებით)	0.07	0.78	1.31	0.62
კვერცხი (წარმოებული რაოდენობა კვირაში)	18.29	18.10	12.87	16.90
კვერცხი (რეალიზებული რაოდენობა კვირაში)	1.67	0.77	0.37	1.19
ქათმის ხორცი (წარმოებული წელიწადში კილოგრამებით)	18.20	21.50	4.46	15.76
ქათმის ხორცი (რეალიზებული წელიწადში კილოგრამებით)	1.12	0.00	0.62	0.95
თაფლი (წარმოებული წელიწადში კილოგრამებით)	40.69	10.00	10.25	32.14

თაფლი (რეალიზებული კილოგრამობით)	წელიწადში	27.69	0.00	0.00	19.92
--	-----------	-------	------	------	-------


N=478

ამ მონაცემების მიხედვით შეიძლება გამოიყოს ძირითადი პროდუქტები, რომლებიც აჭარის მაღალმთიან რაიონებში იწარმოება და შედარებით მნიშვნელოვანი რაოდენობით რეალიზდება. ასეთი პროდუქტებია ძროხის/კამეჩის რძე, მათივე ყველი და ხორცი და ასევე, თაფლი.

დასახელებული ოთხი ძირითადი პროდუქციის რეალიზაცია შემდეგნაირად ხდება:

დიაგრამა A3.1:

როგორ ახდენთ პროდუქციის რეალიზაციას?




ძროხის/კამეჩის რძის რეალიზაცია უმეტეს შემთხვევაში (57.9%), შესაბამის საწარმოში ჩაბარებით ხდება. ძროხის/კამეჩის ყველს, ისევე, როგორც ხორცს, გამოკითხულთა დიდი

ნაწილი ბაზარში აბარებს საბითუმო ფასად (შესაბამისად, 73.8% და 57.1%), თუმცა, ხორცს ოჯახების მნიშვნელოვანი ნაწილი უშუალოდ თავადაც ყიდის (29.7%). რაც შეეხება თაფლს, აქ რეალიზაციის მხოლოდ ორი გზა ფიქსირდება - უშუალოდ ოჯახის მიერ რეალიზება (80%) და ბაზარში საბითუმო ფასად ჩაბარება (20%).

რესპონდენტებს სთხოვეს, შეეფასებინათ რეალიზაციით მათი კმაყოფილობის დონე 5-ქულიან სკალაზე, სადაც 5 აღნიშნავდა „ძალზედ კმაყოფილს“, ხოლო 1 – „ძალზედ უკმაყოფილოს“. დიაგრამაზე მოცემულია საშუალო რაიონებისა და პროდუქციის ტიპის მიხედვით:

დიაგრამა A4:

რეალიზაციით კმაყოფილობის დონე




მონაცემების მიხედვით, პროდუქტის რეალიზაციით კმაყოფილობის დონე პროდუქტების უმეტესობასთან მიმართებაში საშუალოზე დაბალია. გამონაკლისებად შეიძლება მიჩნეულ იქნას ძროხის/კამეჩის ყველის რეალიზაციით კმაყოფილება შუახევის რაიონში, რომელიც საშუალო დონეს მცირედით აღემატება (3.24) და ძროხის/კამეჩის ხორციით რეალიზაციით კმაყოფილების დონე ქედაში (3.25).

მათ, ვინც აღნიშნეს, რომ პროდუქციის რეალიზაციით არ იყვნენ კმაყოფილები, დაასახელეს უკმაყოფილების შემდეგი მიზეზები:

დიაგრამა A5:

რეალიზაციით უკმაყოფილობის მიზეზები




როგორც მონაცემები აჩვენებს, უკმაყოფილების წამყვანი მიზეზი რძობისგან/კამერისგან ნაწარმოები პროდუქციის შემთხვევაში, დაბალი ფასია, ხოლო თაფლის შემთხვევაში მიზეზი მხოლოდ ერთია - პროდუქციის სიმწირე.

გამოკითხულთა უდიდესი ნაწილი (98.2%) აღნიშნავს, რომ სარგებლობს სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების საკუთარი მიწით. რაიონების მიხედვით მონაცემებში უმნიშვნელო განსხვავებაა.


დიაგრამა A6:

მოგვაცოთ თუ არა აღნიშნული კულტურა და საშუალოდ რა ფართობზე?



აჭარის მაღალმთიან რაიონებში ყველაზე გავრცელებული მცენარეული კულტურები, რომლებიც ადგილობრივებს მოჰყავთ, არის კარტოფილი (92.9%), ხეილი (83.6%), ბოსტნეულ-ბაღჩეული (79.6%), ლობიო და/ან სოიო (73.9%) და სიმინდი (71.7%). რაც შეეხება საშუალო ფართობებს, გამოკითხულთა მფლობელობაში არსებული ყველაზე დიდი ფართობის მქონე მიწებია ხორბლის ან მზესუმზირის ყანები (0.8 ჰა), სათიბები (0.35 ჰა) და სამოვრები (0.2 ჰა).

დიაგრამა A7:



აღნიშნული კულტურებიდან ყველაზე დიდი რაოდენობით კარტოფილის რეალიზება ხდება (საშუალოდ 472 კგ., რაც მთლიანი საშუალო მოსავლის 47%-ია), ასევე, მოყვანილთან შედარებით სარეალიზაციოდ იყენებენ თამბაქოს საკმაოდ დიდი წილს (საშუალოდ 87%). სხვა ფართოდ გავრცელებული კულტურების მოსავლიდან რეალიზებული წილი შემდეგნაირია:

ხეხილი (22%)

ბოსტნეული (35%)

ლობიო/სოიო (23%)

სიმინდი (12%)

თუ ზემოთ ჩამოთვლილ კულტურებიდან რეალიზაციის თვალსაზრისით მნიშვნელოვნებს გამოვყოფთ, ესენი იქნება კარტოფილი, ხეხილი, ბოსტნეული, ლობიო/სოიო, სიმინდი, თხილი და თამბაქო.

რაც შეეხებათ მიწებს, რომლებიც სათიბებად და სამოვრებად გამოიყენება, მათგან მიღებული რესურსის უდიდესი ნაწილი მფლობელი ოჯახების მეურნეობაშივე რჩება.

რაიონების ჭრილში დეტალურად მოსავლის და რეალიზებული პროდუქციის საშუალო რაოდენობა შემდგენაირად გამოიყურება:

ცხრილი A3:


კულტურა/დანიშნულება	ქედა	შუახევი	ხულო
ვენახი - ყოველწლიურად მიღებული მოსავალი კგ-ში	349.91	229.78	206.00
ვენახი - აქედან რეალიზებულის/გაყიდულის წილი კგ-ში	130.22	10.42	13.33
ხეხილი - ყოველწლიურად მიღებული მოსავალი კგ-ში	534.57	352.42	332.42
ხეხილი - აქედან რეალიზებულის/გაყიდულის წილი კგ-ში	190.00	50.87	12.80
ხორბალი, მხესუმზირა - ყოველწლიურად მიღებული მოსავალი კგ-ში		250.00	
ხორბალი, მხესუმზირა - აქედან რეალიზებულის/გაყიდულის წილი კგ-ში		100.00	
სიმინდი - ყოველწლიურად მიღებული მოსავალი კგ-ში	479.26	382.31	257.42
სიმინდი - აქედან რეალიზებულის/გაყიდულის წილი კგ-ში	90.73	33.09	3.38
კარტოფილი - ყოველწლიურად მიღებული მოსავალი კგ-ში	314.03	449.27	1892.82
კარტოფილი - აქედან რეალიზებულის/გაყიდულის წილი კგ-ში	39.50	120.07	1055.13
თხილი - ყოველწლიურად მიღებული მოსავალი კგ-ში	154.13	110.78	59.00
თხილი - აქედან რეალიზებულის/გაყიდულის წილი კგ-ში	94	26	24
ციტრუსის, კივის, ფეიხოს პლანტაციები (სულ) - ყოველწლიურად მიღებული მოსავალი კგ-ში	68.33	6.67	
ციტრუსის, კივის, ფეიხოს პლანტაციები (სულ) - აქედან რეალიზებულის/გაყიდულის წილი კგ-ში	23.33	0.00	
ჩაის პლანტაცია - ყოველწლიურად მიღებული მოსავალი კგ-ში			
ჩაის პლანტაცია - აქედან რეალიზებულის/გაყიდულის წილი კგ-ში			
ლობიო, სოიო (სულ) - ყოველწლიურად მიღებული მოსავალი კგ-ში	89.94	81.64	68.48
ლობიო, სოიო (სულ) - აქედან რეალიზებულის/გაყიდულის წილი კგ-ში	25.24	11.64	14.27
ბოსტნეულ-ბაღჩეული - ყოველწლიურად მიღებული მოსავალი კგ-ში	312.47	216.51	176.74
ბოსტნეულ-ბაღჩეული - აქედან რეალიზებულის/გაყიდულის წილი კგ-ში	163.28	36.21	23.05
სათბური - ყოველწლიურად მიღებული მოსავალი კგ-ში	250.00	233.33	
სათბური - აქედან რეალიზებულის/გაყიდულის წილი კგ-ში	133.33	120.00	
თამბაქო - ყოველწლიურად მიღებული მოსავალი კგ-ში	188.38	195.00	
თამბაქო - აქედან რეალიზებულის/გაყიდულის წილი კგ-ში	173.46	120.00	
სათიბი - ყოველწლიურად მიღებული მოსავალი კგ-ში	884.78	787.89	1518.18
სათიბი - აქედან რეალიზებულის/გაყიდულის წილი კგ-ში	200.00	24.75	123.48

საძოვარი - ყოველწლიურად მიღებული მოსავალი კგ-ში	50.00	537.93	550.00
საძოვარი - აქედან რეალიზებულის/გაყიდულის წილი კგ-ში	16.67	2.03	0.00
სხვა კულტურები - ყოველწლიურად მიღებული მოსავალი კგ-ში	146.00		650.00
სხვა კულტურები - აქედან რეალიზებულის/გაყიდულის წილი კგ-ში	91.82		500.00

N=478

დიაგრამა A8:

მოყვანილი მოსავლის რეალიზაციის გზები




ყველა მნიშვნელოვანი კულტურის შემთხვევასი, პროდუქციის რეალიზაციის წამყვანი გზა ბაზარში საბითუმო ფასად ჩაბარებაა. საშუალოდ ამ კულტურების მოსავლების რეალიზაცია

ბაზარში შემთხვევათა 80.3%-ში ხდება. მეორე გავრცელებული გზა კი უშუალოდ ოჯახის მიერ გაყიდვაა (საშუალოდ 8.2%).

რესპონდენტებმა 5-ქულიან სკალაზე შეაფასეს რეალიზაციით საკუთარი კმაყოფილების დონე:

დიაგრამა A9:

მოსავლის რეალიზაციით კმაყოფილების დონე




საერთო მონაცემებში ყველაზე მაღალი კმაყოფილების დონით გამოირჩა თამბაქოს რეალიზაცია (3.49 ქულა). ასევე, სხვებთან შედარებით მაღალი შეფასება მიიღო სიმინდის რეალიზაციამ (3.26 ქულა) და თხილის რეალიზაციამ (3.26). რეალიზაციით ყველაზე მაღალი კმაყოფილების დონით გამოირჩნენ ხულოს ის მცხოვრებლები, რომლებიც თხილის

რეალიზაციას ახდენენ (4.25 ქულა). აღსანიშნავია, რომ კარტოფილის, ხეხილისა და ბოსტნეულის რეალიზაციით ყველა რაიონში შეფასების საშუალო ქულა უფრო მეტად კმაყოფილების დაბალი დონისკენაა გადახრილი.

დიაგრამა A10:

რეალიზაციით უკმაყოფილების მიზეზი




ისევე, როგორც ცხოველებისა და ფრინველების მემწეობით მიღებული პროდუქციის რეალიზაციის შემთხვევაში, აქაც უკმაყოფილების მთავარი მიზეზი გასაყიდი პროდუქციის დაბალი ფასია. ასევე, ზოგიერთი პროდუქტის შემთხვევაში იკვეთება პროდუქტის სიმცირის ფაქტორი, როგორც უკმაყოფილების გამომწვევი მიზეზი.

რესპონდენტთა მხოლოდ 1.6% აღნიშნავს, რომ საკუთარი მეურნეობა ბოლო 5 წლის განმავლობაში მნიშვნელოვნად გააფართოვა. მცირედით მეურნეობა გააფართოვა რესპონდენტთა მეხუთედმა. ხოლო მცირედით (ისევე როგორც მნიშვნელოვნად) შეამცირა - მეათედმა. აღსანიშნავია, რომ დიდი ნაწილის (56.5%) საკუთრებაში არსებული მეურნეობა ბოლო 5 წლის განმავლობაში უცვლელი დარჩა.

ეს შედეგები რაიონების ჭრილებში შემდეგნაირად გამოიყურება:

დიაგრამა A11:


ბოლო 5 წლის განმავლობაში თუ გაგიფართოვებიათ თქვენი ფერმერული საქმიანობა?



ამრიგად, რესპონდენტთა უმრავლესობამ (77.6%) ბოლო 5 წლის განმავლობაში გააფართოვა თავისი ფერმერული საქმიანობა. ხოლო მათმა დიდი ნაწილი (58%), ვისაც ბოლო წლების განმავლობაში საკუთარი მეურნეობა არ გაუფართოვებია, ამის მიზეზად ფინანსური რესურსების არქონა დაასახელა. ასევე, მნიშვნელოვანი მიზეზია შესაფერისი მოწყობილობების/ტექნიკის არქონა (22.1%) და რესპონდენტთა ან მათი ოჯახის რომელიმე წევრის შრომისუნარიანობის დაქვეითება ჯანმრთელობის პრობლემების გამო (19.7%). სხვა მიზეზები კვლევაში შემდეგი სიხშირით სახელდებოდა:

დიაგრამა A12:


რა მიზეზების გამო არ გაგიფართოვებიათ ფერმერული საქმიანობა
ბოლო 5 წლის განმავლობაში



გამოკითხულთა 34.8% მიიჩნევს, რომ მათ რაიონში ფერმერთა საქმიანობის განვითარებას ტექნიკით, სასუქით, ან შხამ-ქიმიკატებით დახმარება შეუწყობს ხელს. ასევე დიდი ნაწილი (31.8%) ასახელებს ხელმისაწვდომი სასოფლო-სამეურნეო კრედიტების შემოღებას.

მნიშვნელოვანი ნაწილისთვის ხელშემწყობი იქნება გაყიდვა-რეალიზაციაში დახმარებაც.
დიაგრამა A13:

რა პროექტები შეუწყობს ხელს თქვენს რაიონში ფერმერთა
საქმიანობის განვითარებას?



N=478

რაიონების ჭრილებშიც ძირითადი ნაწილი სწორედ ამ სამ პროექტს ასახელებს, თუმცა განსხვავება არის პრიორიტეტებში. ქედაში გამოკითხულების ყველაზე დიდი ნაწილისთვის (42.4%) მნიშვნელოვანია, ჰქონდეს ხელმისაწვდომი სასოფლო-სამეურნეო კრედიტია, მას მოსდევს ტექნიკით, სასუქით, ან შხამ-ქიმიკატებით დახმარების საჭიროება (24.7%) და შემდგომ გაყიდვა-რეალიზაციაში დახმარება (20.9%). შუახევის რაიონის მოსახლეობისთვის კი მთავარი გამოსავალი ტექნიკით დახმარებაა (29.6%), შემდეგ ხელმისაწვდომი კრედიტები (23.9%) და ამ ორ პროექტთან შედარებით მცირე რაოდენობისთვის - გაყიდვა-რეალიზაციის ხელშეწყობა (16.4%). პრიორიტეტულობა ხულოში გამოკითხულთათვის იგივეა, რაც შუახევისთვის, თუმცა, აქ ტექნიკით დახმარებისა (34.8%) და ხელმისაწვდომი კრედიტების (31.8%) პროცენტულ წილებს შორის უფრო მცირე სხვაობაა. ასევე, მათთან შედარებით მცირეა გაყიდვა-რეალიზაციაში დახმარების პროექტის წილი (16.7%). აღსანიშნავია, რომ შუახევში, სხვა რაიონებთან შედარებით, ბევრად უფრო მეტს გაუჭირდა აღნიშნულ

საკითხთან დაკავშირებით თავისი აზრის გამოთქმა („მიჭირს პასუხის გაცემა“ - 17.6%), რაც 11.3%-ით მეტია ქედის მონაცემებზე, ხოლო 15.4%-ით ხულოს მონაცემებზე.


რესპონდენტებს კვლევის ფარგლებში შესთავაზეს, თავიანთი მუნიციპალიტეტების სოფლის მეურნეობის განვითარება 5-ქულიან სკალაზე შეეფასებინა (სადაც 5 გულისხმობდა ძალზე მაღალს, ხოლო 1 - ძალზე დაბალს, 3 ნეიტრალური შეფასება იყო).

რესპონდენტთა ნახევარზე მეტმა (54.4%) სოფლის მეურნეობის განვითარების დონე 3 ქულაზე შეაფასა, მაღალი ან ძალზე მაღალი შეფასებები მისცა გამოკითხულთა 15.8%-მა, ხოლო დაბალი, ან ძალზე დაბალი - 28.5%-მა. საერთო მონაცემებში საშუალო მინიჭებული ქულაა 2.8.

ეს შედეგები რაიონების ჭრილში შემდეგნაირად გამოიყურება:

დიაგრამა A14:

როგორ შეაფასებდით სოფლის მეურნეობის განვითარების დონეს თქვენს მუნიციპალიტეტში?



როგორც ვხედავთ, ყველაზე ხშირად მაღალ შეფასებებს ქედის მცხოვრებლები ანიჭებენ. მათგან მეხუთედზე მეტმა (21.5%) სოფლის მეურნეობა 4 ან 5 ქულაზე შეაფასა. ქედაში გამოკითხულთა მიერ მინიჭებული საშუალო ქულა 3.01-ია. 2 ან 1 ქულა ქედაში პასუხად დაასახელა 22.2%-მა. შუახევიში ეს მაჩვენებელი 7.4%-ით მეტია, ხოლო საშუალო ქულა - 2.79. შესაბამისად, 4 და 5 ქულები უფრო იშვიათად იქნა მინიჭებული (ჯამში სულ 18.2%-ის შემთხვევაში). რაც შეეხება ხულოს, აქ სოფლის მეურნეობის განვითარებას კიდევ უფრო დაბალი ქულით აფასებენ. ხულოს საშუალო ქულა 2.61-ია, მესამედმა (33.7%) გამოკითხვაში დაასახელა 1 ან 2 ქულა, ხოლო მხოლოდ 8.8%-მა აღნიშნა 4 ან 5.

B. სოფლის მეურნეობის, მრეწველობის, ტურიზმის/მომსახურების პრიორიტეტები

კვლევის ფარგლებში რესპონდენტებს დაესვათ შეკითხვა იმის თაობაზე, თუ რომელ დარგს მიიჩნევდნენ ისინი ყველაზე დიდი პოტენციალის მქონედ თავიანთ რაიონში. კვლევის მონაწილეებს შეეძლოთ დაესახელებინათ ასეთი ერთი, ორი ან სამი დარგი.

ცხრილი B1: პოტენციალის მქონე დარგები

#	დარგი	ქედა	შუახევი	ხულო	საერთო
1	მეცხოველეობა	16.5%	26.4%	74.5%	41.6%
2	მეფუტკრეობა	25.3%	16.4%	37.9%	27.9%
3	მევენახეობა	52.5%	15.1%	4.3%	24.1%
4	ხეხილი	18.4%	23.9%	26.1%	22.8%
5	სიმინდი	17.1%	56.6%	14.3%	26.2%
6	კარტოფილი	11.4%	63.5%	66.5%	46.3%
7	თხილი	46.8%	39.0%	37.9%	41.3%
8	ბოსტნეულ-ბაღჩეული	44.3%	16.4%	9.3%	23.4%
9	თამბაქო	39.9%	18.9%	2.5%	19.9%
10	სხვა	13.3%	15.7%	16.1%	15%
99	მიჭირს პასუხის გაცემა	10.8%	4.4%	8.1%	8.1%

N=478

როგორც ვხედავთ, ქედის მოსახლეობა ყველაზე დიდი პოტენციალის მქონე დარგებად მიიჩნევს მევენახეობას, თხილსა და მებოსტნეობას. შუახევიში მცხოვრებთათვის ყველაზე დიდი პოტენციალის მქონეა კარტოფილი, სიმინდი და შემდეგ თხილი, ხოლო ხულოში გამოკითხულთათვის პირველია მეცხოველეობა, შემდეგ კარტოფილი და მესამე ადგილს ინაწილებენ მეფუტკრეობა და თხილი.

გამოკითხულთა 67.3% აღნიშნავს, რომ მათ მიერ დასახელებული პირველი დარგის პროდუქციას აწარმოებს, 65.3% მეორე დასახელებული დარგისას, ხოლო 56.6% - მესამესას. 23.5% არ აწარმოებს პირველი დასახელებული დარგის პროდუქციას, მაგრამ აქვს ამის სურვილი, მეორე დასახელებულ დარგზე ეს მაჩვენებელი 23.8%-ია, ხოლო მესამე დასახელებულზე - 28.3%.

რაც შეეხება უშუალოდ დარგებს, ყველაზე ხშირად დასახელებული დარგების (მეცხოველეობა, მევენახეობა, მეფუტკრეობა, სიმინდი, კარტოფილი, თხილი, ბოსტნეულ-ბაღჩეული) მიმართ ინტერესი შემდეგნაირად გამოიყურება:

ცხრილი B2: „მაქვს ინტერესი და ვაწარმოებ კიდეც“


დარგი	პირველად დასახელებული	მეორედ დასახელებული	მესამედ დასახელებული
მეცხოველეობა	67.9%	71.7%	72.3%
მევენახეობა	86.0%	53.5%	67.4%
მეფუტკრეობა	26.2%	14.9%	5.4%
სიმინდი	86.6%	77.1%	82.6%
კარტოფილი	82.7%	89.6%	87.5%
თხილი	43.0%	59.2%	39.2%
ბოსტნეულ-ბაღჩეული	100.0%	100.0%	91.2%
თამბაქო	48.4%	29.9%	79.3%
N=	323	312	266

ცხრილი B3: „მაქვს ინტერესი, მაგრამ არ ვაწარმოებ“

დარგი	პირველად დასახელებული	მეორედ დასახელებული	მესამედ დასახელებული
მეცხოველეობა	19.8%	18.1%	16.7%
მევენახეობა	12.4%	41.0%	20.5%
მეფუტკრეობა	58.6%	60.2%	59.4%
სიმინდი	7.0%	12.3%	17.4%
კარტოფილი	7.7%	7.4%	10.7%
თხილი	51.3%	31.2%	41.0%
ბოსტნეულ-ბაღჩეული			8.8%
თამბაქო	36.8%	40.2%	20.7%
N=	114	115	138

მონაცემების მიხედვით, მეფუტკრეობა და მევენახეობა არის ის დარგები, რომლების მიმართაც ინტერესი საკმაოდ მაღალია, თუმცა მაღალი ინტერესის მიუხედავად, დაინტერესებულთაგან საკმაოდ მნიშვნელოვანი ნაწილი ამ დარგებით არაა დაკავებული.

დიაგრამა B1:



მათგან, ვინც ინტერესს გამოთქვამს, მაგრამ არ აწარმოებს დასახელებული დარგის პროდუქციას, სამივე დასახელებული დარგის შემთხვევაში თითქმის მესამედი შესაბამისი ფინანსების არქონას ასახელებს. ასევე, მნიშვნელოვანი დამაბრკოლებელი ფაქტორია შესაფერისი შრომის გაწევის შეუძლებლობა და ხელსაწყოების და ტექნიკის არქონა.


მიზეზები სხვადასხვა დარგის მიხედვით შემდეგნაირად ნაწილდება:

ცხრილი B4: მიზეზები, თუ რატომ არ არიან დაკავებული (ინტერესის მიუხედავად) სოფლის მეურნეობის სხვადასხვა დარგით ადგილობრივი ფერმერები

	მეცხოველეობა	მეფუტკრეობა	მევენახეობა	სიმინდი	კარტოფილი	თხილი	თამბაქო
არ მაქვს შესაბამისი ფინანსები	36.10%	26.00%	42.30%	25.90%	39.40%	32.80%	7.70%
არ მაქვს საბანკო სესხის აღების შესაძლებლობა	9.60%	4.20%				3.40%	4.80%
ამ დარგის პროდუქციის წარმოება მოითხოვს ბევრად უფრო მეტ სრომას, ვიდრე შემიძლია	31.00%			26.3%	49.20%	11.70%	16.50%
ვშიშობ, რომ ვერ მოვახდენ რეალიზაციას და ვერ ვნახავ მოგებას		3.90%		8.80%		9.50%	24.20%
ვერ გავუწევ კონკურენციას იმპორტულ პროდუქციას	8.60%						
არ მაქვს შესაფერისი ცოდნა და უნარ-ჩვევები		4.20%		12.80%		4.90%	
არ ვფლობ შესაფერის ხელსაწყოებს და ტექნიკას		45.40%	26.80%	8.80%		4.90%	
ცუდი ინფრასტრუქტურა	8.60%	16.30%	15.40%	17.50%		4.90%	38.00%
მიწის ნაკლებობა			15.40%		11.40%	10.00%	
დროის უქონლობის გამო	3.20%					4.60%	
არ არის მთავრობისგან ხელშეწყობა						3.40%	4.40%
მიჭის პასუხის გაცემა	2.90%					10.00%	4.40%

რესპონდენტებმა შეაფასეს სხვადასხვა სასოფლო-სამეურნეო პროგრამები, რომლებსაც სახელმწიფო ან არასახელმწიფო ორგანიზაციები ახორციელებ(დნ)ენ. მათ გასცეს პასუხები იმის შესახებ, თუ სმენიათ ასეთი პროგრამების შესახებ, თუ მიუღიათ მონაწილეობა, როგორ აფასებენ და ა.შ.

დიაგრამა B2:




პროექტების უმეტესობის შესახებ გამოკითხულთა უმრავლესობა ინფორმაციას არ ფლობს. სამი ყველაზე გავრცელებული პროექტია მცირემიწიან ფერმერთა ხელშეწყობა, შელავათიანი აგროკრედიტის პროგრამა და აგროდაზღვევა, თუმცა, მცირემიწიან ფერმერთა პროგრამის გარდა, ამ შედარებით ცნობილ პროექტებშიც კი მოსახლეობის ჩართულობა საკმაოდ დაბალია.

მცირემიწიან ფერმერთა ხელშეწყობის პროგრამაში ჩართულია 72.8% მათგან, ვინც ინფორმაციას ფლობს. ამ მხრივ, სხვებთან შედარებით ასევე მაღალი მაჩვენებელი აქვს „აჭარის წყალის“ პროექტებს, რომლებშიც 43.2%-ია ჩართული მათგან, ვინც იცის მათ შესახებ (ჯამში გამოკითხულთა 7.4%).

კვლევის იმ მონაწილეებს, რომლებიც ჩამოთვლილ პროექტებში იყვნენ ჩართულნი, სთხოვეს მათი 5-ქულიან სკალაზე შეფასება. შეფასების შედეგები შემდეგნაირად გამოიყურება:


დიაგრამა B3:



ყველა პროგრამის შემთხვევაში, საშუალო ქულა უარყოფითი შეფასებისკენ იხრება. შედარებით მაღალი შეფასება აქვს აგროდაზღვევის პროგრამას (2.76 ქულა), ხოლო შედარებით დაბალი - „აჭარის წყალის“ პროექტებს (1.52 ქულა).

რაც შეეხება საშუალო შეფასებებს რაიონების მიხედვით, აქ შემდეგი სურათია:

დიაგრამა B4:



ის რესპონდენტები, ვინც აღნიშნა, რომ ჩამოთვლილ პროექტებში არ მიუღია მონაწილეობა, სხვადასხვა მიზეზებს ასახელებენ. პროექტების უმეტესობისათვის ეს მიზეზები საერთოა და სხვადასხვანაირადაა გადანაწილებული:


ცხრილი B5:

<p>მცირემიწიან ფერმერთა საგაზაფხულო სამუშაოების ხელშეწყობის პროგრამა</p> <p>1. პროგრამის შესახებ არ მქონდა დეტალური ინფორმაცია - 21.9%</p> <p>2. არ მაქვს/გვაქვს საკმარისი ფინანსები - 21.1%</p> <p>3. არ მაქვს/გვაქვს სურვილი - 15.2%</p>	<p>შეღავათიანი აგროკრედიტის პროგრამა</p> <p>1. არ მაქვს/გვაქვს სურვილი - 29%</p> <p>2. არ მაქვს/გვაქვს საკმარისი ფინანსები - 21.1%</p> <p>3. არ მჭირდება/გვჭირდება - 13.7%</p>
<p>საინფორმაციო-საკონსულტაციო სამსახურები ფერმერებისათვის</p> <p>1. პროგრამის შესახებ არ მქონდა დეტალური ინფორმაცია - 30.1%</p> <p>2. არ მაქვს/გვაქვს საკმარისი ფინანსები - 24.2%</p> <p>3. არ მაქვს/გვაქვს სურვილი - 17.1%</p>	<p>„დანერგე მომავალი“</p> <p>1. არ მაქვს/გვაქვს საკმარისი ფინანსები - 30.4%</p> <p>2. არ მაქვს/გვაქვს სურვილი - 29.3%</p> <p>3. პროგრამის შესახებ არ მქონდა დეტალური ინფორმაცია - 14.7%</p>
<p>ჩაის პლანტაციების რეაბილიტაციის პროგრამა</p> <p>1. არ მჭირდება/გვჭირდება - 90.7%</p> <p>2. არ მაქვს/გვაქვს სურვილი - 9.3%</p>	<p>„აწარმოე საქართველოში“</p> <p>1. არ მაქვს/გვაქვს სურვილი - 33.7%</p> <p>2. არ მაქვს/გვაქვს საკმარისი ფინანსები - 23.2%</p> <p>3. პროგრამის შესახებ არ მქონდა დეტალური ინფორმაცია - 22.3%</p>
<p>აგროდაზღვევა</p> <p>1. არ მაქვს/გვაქვს სურვილი - 31.3%</p> <p>2. არ მაქვს/გვაქვს საკმარისი ფინანსები - 19.9%</p> <p>3. არ მჭირდება/გვჭირდება - 19.4%</p>	<p>გადამამუშავებელი და შემნახველი საწარმოების თანადაფინანსების პროექტი</p> <p>1. არ მაქვს/გვაქვს საკმარისი ფინანსები - 32.7%</p> <p>2. არ მჭირდება/გვჭირდება - 18%</p> <p>3. პროგრამის შესახებ არ მქონდა დეტალური ინფორმაცია - 17.3%</p>
<p>სამრეწველო მანდარინის რეალიზაციის ხელშეწყობის პროგრამა</p> <p>1. არ მჭირდება/გვჭირდება - 92.1%</p> <p>2. არ მაქვს/გვაქვს სურვილი - 5%</p> <p>პროგრამაში მონაწილეობისთვის 3. სირთულეს მიქმნის/გვიქმნის მანძილი - 2.6%</p>	<p>აჭარის წყლის მიერ განხორციელებული სოციალური პროექტები</p> <p>1. პროგრამის შესახებ არ მქონდა დეტალური ინფორმაცია - 30.5%</p> <p>2. დროულად ვერ მოვიპოვეთ ინფორმაცია 3. აღნიშნულ პროექტში ჩასართავად - 20.4%</p> <p>არ მაქვს/გვაქვს საკმარისი ფინანსები - 12.5%</p>

გარდა სოფლის მეურნეობის დარგებისა, კვლევა ითვალისწინებდა სხვა დარგების მიმართ ინტერესისა და კვალიფიკაციის შეფასებასაც:

დიაგრამა B5:

სოფლის მეურნეობის გარდა, ქვემოთ ჩამოთვლილი დარგებიდან, თქვენი აზრით, რომელში აქვს თქვენს მუნიციპალიტეტს ყველაზე დიდი პოტენციალი/შესაძლებლობა



ქედის მოსახლეობის დიდი ნაწილი (70.3%) აღნიშნავს, რომ სოფლის მეურნეობის გარდა მათ მუნიციპალიტეტს ყველაზე დიდი პოტენციალი საკვები პროდუქტების წარმოების დარგში აქვს. ასევე, საკმაო რაოდენობა მიიჩნევს, რომ ქედაში შესაძლებელია კულტურული, აგრო და ეკო ტურიზმების განვითარება (შესაბამისად, 25.9%, 25.9% და 24.7%).

შუახევის მცხოვრებლებისთვის ყველაზე დიდი პოტენციალის მქონე ხე-ტყის დამუშავება (44%) და ასევე, საკვები პროდუქტებია (37.7%).

ხულოში გამოკითხულები კი აღნიშნავენ, რომ მათ მუნიციპალიტეტს სამთო-სათხილამურო ტურიზმის სფეროში (61.5%) აქვს წარმატების მიღწევის შანსი. სხვა მაღალმთიანი რაიონების წარმომადგენლების მსგავსად, ხულოშიც გამოკითხულთა საკმაო ნაწილი ასახელებს საკვები პროდუქტების წარმოებასაც (58.4%). ამ რაიონის მონაცემების მიხედვით, მესამე გამოკვეთილი დარგი კი კულტურული ტურიზმია (39.1%).

რესპონდენტმა შეაფასეს სხვადასხვა დარგსა და სერვისში მათი და მათი ოჯახის წევრების კვალიფიკაციის დონე 5-ქულიან სკალაზე, სადაც 5 ქულა ნიშნავდა მაღალ კვალიფიკაციას, ხოლო 1- მაღზე დაბალს. ცხრილში მოცემული ქულები არის ჯამური საშუალოები:

ცხრილი B6: სხვადასხვა სფეროში რესპონდენტთა და მათი ოჯახის წევრების კვალიფიკაცია (ჯამური საშუალოები)

დარგის/სერვისის დასახელება	ქედა	შუახევი	ხულო	სულ
მარცვლეული	4.25	4.03	4.33	4.22
ბოსტნეული	4.32	4.07	4.54	4.34
ხილი/ციტრუსი	4.21	4.02	4.42	4.26
თამბაქო	3.64	3.58	3.87	3.72
ყურძენი	4.27	4.00	3.96	4.08
თხილი	4.22	4.23	4.16	4.20
მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვი	4.29	4.24	4.67	4.43
ცხვარი და თხა, ღორი	3.33	2.81	2.45	2.85
ფრინველი	4.07	3.72	4.21	4.04
ფუტკრის მოვლა	2.50	3.07	2.73	2.72
სამთომოპოვებითი მრეწველობა	1.48	2.81	1.74	1.87
გადამამუშავებელი მრეწველობა (საკვები პროდ.)	3.31	3.50	3.56	3.46
გადამამუშავებელი მრეწველობა (ხე-ტყე)	1.60	3.03	2.73	2.40
კულტურული ტურიზმი	1.86	2.67	1.63	1.93
ეკოტურიზმი	1.78	2.66	1.54	1.86
აგროტურიზმი	1.85	2.57	1.53	1.86

გასტრონომიული ტურიზმი	1.74	2.57	1.45	1.79
სამთო-სათხილამურო ტურიზმი	1.21	2.62	1.81	1.76
საყოფაცხ. (სილამაზის სალონი)	1.42	2.56	1.51	1.69
საყოფაცხ. (კერვა, ქსოვა და სხვ.)	1.94	2.83	2.70	2.45
საყოფაცხ. ტექნიკის შეკეთება	1.97	2.93	2.43	2.37
მშენებლობა	2.03	2.74	2.44	2.35

N=478

შენიშვნა - მწვანედ აღნიშნულია ის ველები, სადაც საშუალო ქულა საშუალო კვალიფიკაციაზე უფრო მაღალ კვალიფიკაციას მიანიშნებს. წითლად აღნიშნულია ის ველები, სადაც საშუალო ქულა საშუალო კვალიფიკაციაზე უფრო დაბალ კვალიფიკაციას მიანიშნებს და ამავდროულად, ამ სფეროს რესპონდენტები დიდი პოტენციალის მქონედ მიიჩნევენ.

რესპონდენტების შეფასებების თანახმად, მათ და მათ ოჯახის წევრებს სოფლის მეურნეობის დარგების უმეტესობაში საშუალოზე მაღალი კვალიფიკაცია აქვთ. ყველაზე მაღალი საშუალო ქულა მიენიჭა მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვების მეურნეობასა და მარცვლეულ კულტურებს.

როგორც ზემოთ აღინიშნა, სამივე რაიონში სხვადასხვა დარგი მიიჩნევა დიდი პოტენციალის მქონედ. აღსანიშნავია, რომ რესპონდენტები ამ დარგებიდან (საკვები პროდუქტების წარმოება, ხე-ტყის მასალის გადამუშავება, ტურიზმის სხვადასხვა სახეობები), მხოლოდ საკვები პროდუქტების წარმოების თვალსაზრისით აფასებენ თავიანთ კვალიფიკაციას მაღალი ქულით. განსაკუთრებით დაბალია ტურიზმის დარგებში კვალიფიკაციის შეფასებები - მაგალითად, ხულოს მოსახლეობა სამთო-სათხილამურო ტურიზმში საკუთარ კვალიფიკაციას 1.81 ქულით აფასებს, ხოლო ქედის მოსახლეობა კულტურულ ტურიზმში - 1.86 ქულით.

რესპონდენტებმა ასევე 5-ქულიანი სკალით შეაფასეს თავიანთი ინტერესი, რომ მათ, ან მათი ოჯახის სხვა წევრებმა ზემოთ ჩამოთვლილ დარგებში კვალიფიკაცია აიმაღლონ:

ცხრილი B7: რესპონდენტთა და მათი ოჯახის წევრების ინტერესი სხვადასხვა დარგის მიმართ

დარგის დასახელება	ქედა	შუახევი	ხულო	სულ
მარცვლეული	3.53	3.60	3.35	3.48
ბოსტნეული	3.61	3.67	3.57	3.61
ხილი/ციტრუსი	3.58	4.04	3.50	3.67
თამბაქო	3.34	3.60	3.02	3.29
ყურძენი	3.70	4.13	3.56	3.75
თხილი	3.66	3.98	3.74	3.77
მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვი	3.47	3.78	3.58	3.59
ცხვარი და თხა, ღორი	2.92	3.53	1.99	2.72
ფრინველი	3.14	3.74	2.84	3.18
ფუტკრის მოვლა	3.59	3.96	3.88	3.80
სამთო მოპოვებითი მრეწველობა	2.56	3.86	2.67	2.94
ადამამუშავებელი მრეწველობა საკვები პროდუქტები	3.58	3.87	3.70	3.70
გადამამუშავებელი მრეწველობა ხე-ტყის	2.57	3.72	3.13	3.09
კულტურული ტურიზმი	3.65	3.89	3.68	3.72
ეკოტურიზმი	3.63	3.91	3.48	3.65
აგროტურიზმი	3.65	3.86	3.45	3.63
გასტრონომიული ტურიზმი	3.66	3.82	3.21	3.53
სამთო-სათხილამურო ტურიზმი	2.56	3.87	3.90	3.42
საყოფაცხოვრებო მომსახურება (სილამაზის სალონი)	2.87	3.99	2.86	3.16
საყოფაცხოვრებო მომსახურება (კერვა, ქსოვა და სხვ.)	2.72	3.92	3.42	3.30
საყოფაცხოვრებო ტექნიკის შეკეთება	2.97	3.92	3.43	3.40
მშენებლობა	2.82	3.90	3.27	3.27

N=478

***შენიშვნა:** მწვანე ფერით აღნიშნულია ის დარგები, რომლებშიც რესპონდენტების შეფასებით, მათ მაღალი კვალიფიკაცია აქვთ და მისი ამაღლების მაღალი ინტერესიც. ხოლო წითლად აღნიშნულია ის დარგები, სადაც რესპონდენტების შეფასებით, მათ დაბალი კვალიფიკაცია, მაგრამ კვალიფიკაციის ამაღლების მაღალი ინტერესი აქვთ.

კვლევის შედეგების მიხედვით, სოფლის მეურნეობის თითქმის ყველა დარგში არის საშუალოზე მაღალი ინტერესი კვალიფიკაციის ამაღლების კუთხით. აღსანიშნავია, რომ მაღალი ინტერესის მქონე დარგებიდან თითქმის ყველაში რესპონდენტებმა საკუთარი კვალიფიკაცია მაღალი ქულებით შეაფასეს. გამონაკლისებს წარმოადგენენ მხოლოდ ფუტკრის მოვლა (რომლის მიმართაც კვალიფიკაციის ამაღლების თვალსაზრისით სამივე რაიონში მაღალი ინტერესია, მაგრამ ცოდნის დაბალი თვითშეფასება) და თამბაქო (რომლის

მიმართაც კვალიფიკაციის ამაღლები თვალსაზრისით ხულოს რაიონში მაღალი ინტერესია, მაგრამ ცოდნის დაბალი თვითშეფასება).

რაც შეეხება სხვა დარგებს, აღსანიშნავია, რომ კულტურული, ეკო, აგრო და გასტრონომიული ტურიზმის სფეროში კვალიფიკაციის ამაღლება სამივე რაიონის მცხოვრებლებს სურთ, ხოლო სამთო-სათხილამურო ტურიზმის მიმართ ინტერესი მაღალია შუახევსა და ხულოში.

აღსანიშნავია, რომ სხვა რაიონებისგან განსხვავებით, შუახევის მცხოვრებლები ყველა დარგის მიმართ საკმაოდ მაღალ ინტერესს ავლენენ (საშუალოდ 3.8 ქულა). ასევე, სხვებისგან განსხვავებით, მათ მაღალი ინტერესი აქვთ საყოფაცხოვრებო მომსახურების სფეროსა და მშენებლობაში კვალიფიკაციის ამაღლების თვალსაზრისით.

C. ოჯახის ეკონომიკური მდგომარეობა

კვლევის ფარგლებში ასევე მოხდა იმ ძირითადი წყაროების გამოკვეთა, საიდანაც აჭარის მაღალმთიანი რეგიონის მაცხოვრებლები იღებენ ფინანსურ შემოსავალს:

კვლევაში მონაწილეთაგან მეოთხედზე მეტი (28%) იღებს შემოსავალს ცხოველების, ფრინველების და მათი პროდუქციის გაყიდვიდან. ეს შემოსავალი, საშუალოდ 535 ლარს შეადგენს (Mean=525.32 ბოლო 12 თვის განმავლობაში). ამ გზით ყველაზე მაღალ შემოსავალს იღებენ ხულოში (Mean=1005.5 ბოლო 12 თვის განმავლობაში), ყველაზე დაბალს - ქედაში (Mean=174.69, ბოლო 12 თვის განმავლობაში).

კვლევაში მონაწილეთაგან მესამედზე მეტი (39.4%) შემოსავალს იღებს სხვა სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის და მათი გადამამუშავების პროდუქტების გაყიდვიდან. ბოლო 1 წლის განმავლობაში ამ თანხამ, საშუალოდ 529 ლარი შეადგინა (Mean=527). ამ მიმართულებით ყველაზე მაღალი საშუალო წლიური შემოსავალი ფიქსირდება ქედაში (Mean=910.97), ხოლო ყველაზე დაბალი - შუახევში (Mean=81.21).


შემოსავლის ისეთი წყაროები, როგორცაა ქონების გაქირავება, გაყიდვა, ფულადი დახმარება საქართველოდან ან უცხოეთიდან, არ არის მნიშვნელოვანი და აქვს რესპონდენტთა მხოლოდ 1%-3%-ს.

რესპონდენტთა დიდი ნაწილისთვის (82.7%) შემოსავლის წყაროს ასევე წარმოადგენს ოჯახის წევრების რეგულარული ჯამური ფულადი შემოსავალი (ხელფასი). ოჯახის წევრების წლიური საშუალო ჯამური ხელფასი შეადგებს 3194 ლარს (Mean=3194.1). მაჩვენებელი თითქმის თანაბარია ქედისა (Mean=2732.12) და შუახევში (Mean=2467.10), ხოლო შედარებით მაღალია ხულოში (Mean=4082.40).

რესპონდენტთა მესამედისთვის (34.1%) შემოსავლის წყაროს შეადგენს ოჯახის წევრების სხვა არა რეგულარული შემოსავალი. რესპონდენტთათვის ბოლო 1 წლის განმავლობაში აღნიშნული ტიპის შემოსავალი, საშუალოდ, 1088 ლარს შეადგენდა (Mean=1088.02). ეს მაჩვენებელი დაბალია ხულოს მუნიციპალიტეტში (Mean=350.31), ხოლო თითქმის ხუთჯერ მეტია ქედისა (Mean=1534.30) და შუახევში (Mean=1591.49).

დიაგრამა C1:

რომელ კატეგორიას მიაკუთვნებთ საკუთარ ოჯახს?



რესპონდენტთა ნახევარი (50.5%) აღნიშნავს, რომ შემოსავალი მხოლოდ კვებაზე ჰყოფნის. აღნიშნული მაჩვენებელი განსხვავდება მუნიციპალიტეტებში: ქედა (57.0%), შუახევი (40.9%), ხულო (50.9%). მცირეა იმ რესპონდენტთა ხვედრითი წილი რომლებიც ადვილად იკმაყოფილებენ ყოველდღიურ და სხვა სამომხმარებლო მოთხოვნილებებს (სულ 1.6%).

E. ფოკუს-ჯგუფების შედეგების ანალიზი

ქედის, შუახევის და ხულოს მოსახლეობისთვის საქმიანობის წამყვანი სფერო სოფლის მეურნეობაა. მეწარმეები აღნიშნავენ, რომ სოფლის მეურნეობა ძირითადად ოჯახური ტრადიციაა და თაობები ირჩევენ იმ დარგებს, რასაც მათი წინაპრები მიჰყვებოდნენ. გარდა ამისა, სოფლის მეურნეობის დარგის, როგორც სამეწარმეო მიმართულების არჩევას განაპირობებს რელიეფის თავისებურება, მიწის ტიპი და ბუნებრივი რესურსები. რაც შეეხება სხვა ტიპის სამეწარმეო სფეროს არჩევას, ეს ძირითადად განპირობებულია სხვადასხვა სერვისებზე მაღალი მოთხოვნით, მაგალითად ავტოფარეხები, კვების ობიექტები, საოჯახო ტიპის სასტუმროები, ავტოსერვისები და ა.შ. აღნიშნულ სფეროებში ფაქტიურად არ არსებობს კონკურენცია ან ეს კონკურენცია ძალიან დაბალია, რის გამოც მოგება დამაკმაყოფილებელია მეწარმეებისთვის.

მეცხოველეობის შეფასება

ფოკუს ჯგუფის წევრები აღნიშნავენ, რომ კვლევაში მონაწილე სამი მუნიციპალიტეტიდან (ხულო, ქედა, შუახევი) მეცხოველეობა სოფლის მეურნეობის წამყვანი დარგი მხოლოდ შუახევშია. აქ მოსახლეობას ძირითადად რქოსანი პირუტყვი ჰყავს. მეფრინველეობა ძირითადად ოჯახური მეურნეობის სახით არსებობს და გულისხმობს ქათმების, იშვიათად, ინდაურების მოშენებას. მუნიციპალიტეტის თანამშრომლები აღნიშნავენ, რომ მოსახლეობა აწარმოებს რძის პროდუქტის თითქმის ყველა სახეობას. მათ შორის, ყველაზე აქტიურად ხდება ყველისა და კარაქის რეალიზაცია, ხოლო რძესა და ნაღებს ძირითადად შიდა მოხმარებისთვის ამზადებენ. ასევე, აქტიურად ხდება ხორცის რეალიზაცია.

ხულოსა და ქედაში მეცხოველეობა სოფლის მეურნეობის მეორე დარგია. მუნიციპალიტეტებში ძირითადად ჰყავთ ძროხა და ცხვარი. მიუხედავად იმისა, რომ ხულოსა და ქედაში საქონელი წველადობის მაღალი მაჩვენებლით გამოირჩევა და ცხიმინაობაც მაღალია, რძის პროდუქტების წარმოება რეალიზების მიზნით იშვიათად ხდება, რადგან რაიონში არ არის დანერგილი/განვითარებული მეცხოველეობასთან დაკავშირებული სხვადასხვა სერვისი, მათ შორის, ცხოველთა სასაკლაო, გადასატანი საწარმოები და რძის გადამამუშავებელი ქარხნები.

„ჩვეულებრივ საწარმოებთან ერთად უნდა იყოს გადასატანი საწარმოებიც. ზოგჯერ ხულოს მუნიციპალიტეტის მცხოვრებლებს 3-4 თვით მიჰყავთ იალაღზე საქონელი. იქვე ადგილზე ამზადებენ კუსტარულად ყველაფერს. მთაგორიანი ადგილია. შესაძლოა ხევში ჩაიჩეხოს საქონელი ან მგელმა შეჭამოს. ჩათვალეთ, რომ მაშინვე ფუჭდება საქონელი. ბორჯომშია სასაკლაო, მაგრამ ისიც შორსაა და გზაში გაფუჭდება რომ წაიღო. გზებიც არ ვარგა და ეგეც პრობლემაა.“ (მუნიციპალიტეტის თანამშრომლების ფოკუს ჯგუფი, ხულო)

სასაკლავოს არარსებობის გამო მოსახლეობას უწევს ინდივიდუალურად მოახდინოს საქონელის ტრანსპორტირება, რაც დამატებით რესურსებს მოითხოვს. რაც შეეხება რძის გადამამუშავებელ ქარხნებს, როგორც ფოკუს ჯგუფის მონაწილეები აღნიშნავენ, ასეთი ქარხანა, კვლევაში მონაწილე სამი მუნიციპალიტეტიდან, არსებობს ხულოს მხოლოდ ერთ სოფელში, რის გამოც მოსახლეობას ძირითადად უწევს სახლის პირობებში დაამზადოს პროდუქტი. გამომდინარე იქიდან, რომ ასეთი პროდუქტის შემოწმება და დაფასოება ვერ ხდება, ჩნდება მისი რეალიზების პრობლემა და, შესაბამისად, ვერ მკვიდრდება ბაზარზე. ფოკუს ჯგუფის მონაწილეები მიუთითებენ ვეტ-ექიმის არარსებობაზე ხულოსა და ქედაში. ქედაში ასევე არსებობს სათევზე მეურნეობის განვითარების პერსპექტივაც, თუმცა, ძვირი ჯდება საკვები, რის გამოც თავს იკავებენ თევზის მოშენებისგან.

როგორც ფოკუს ჯგუფის მონაწილეები მიუთითებენ, სამივე მუნიციპალიტეტში აღინიშნება საძოვრების სიმცირე, ზოგჯერ - მწვავე დეფიციტი. ამასთანავე, ადგილობრივად არ ხდება ცხოველების საკვების წარმოება, შემოტანა კი მოსახლეობას ძვირი უჯდება.

„წარსულში იყო პრაქტიკა, რომ საძოვრებად გამოიყენებოდა ალპური საძოვრები, მაგრამ იმდენად გაძვირდა პირუტყვის გადაყვანა, რომ აღარ უღირს [ფერმერს] და შეამცირა პირუტყვი“ (მუნიციპალიტეტის თანამშრომლების ფოკუს ჯგუფი, ქედა)

„პრობლემა კიდევ არის ის, რომ საძოვრების 70%-80% გატყვევდა. ნადირი - დათვი და მგელი უკვე პირუტყვს აზიანებს“ (მუნიციპალიტეტის თანამშრომლების ფოკუს ჯგუფი, ქედა)

ფერმერების უჭირთ დამზადებული პროდუქციის რეალიზება, რადგან მათთვის რთულია გასაღების ბაზრის პოვნა. როგორც წესი, წარმოებული პროდუქცია მოსახლეობას ინდივიდუალურად მიაქვს ბათუმში, რის შემდეგაც ხდება მისი „გადაყიდვა“. შედეგად, მოსახლეობა ძალიან მცირე მოგებას ღებულობს. აქედან გამომდინარე, მოსახლეობა ძირითადად შიდა მოხმარებისთვის ამზადებს რძის პროდუქტებს და ხორცს და ნაკლებად არის დაინტერესებული მისი რეალიზებით.

„პრობლემა კიდევ არის წარმოებული პროდუქციის მიტანა მომხმარებელთან. ამ შუალედში ვიღაც-ვიღაცები ხელს ითბობენ. 80 თეთრად როდესაც ყიდულობს ადამიანი, ის 1.50-ად ყიდის და ინტერესი გლახს უმცირდება, იმიტომ რომ მოგება არის მცირე. ჩვენ თუ პირდაპირ დავაკავშირებთ მომხმარებელს და მწარმოებელს, ინტერესიც გაიზრდება“ (მცირე მეწარმეების ფოკუს-ჯგუფი, ქედა).

მეცხოველეობის ხელშეწყობით ნაკლებად არიან დაინტერესებულნი ინვესტორებიც, რადგან აჭარის მაღალმთიან რეგიონებში, კლიმატიდან გამომდინარე, მეცხოველეობა სეზონურ ხასიათს ატარებს და არ იძლევა მოგებას მთელი წლის მანძილზე. გარდა ამისა, თითოეულ მუნიციპალიტეტში, მეცხოველეობის განვითარებისთვის აუცილებელი სერვისები პრაქტიკულად არ არსებობს და მათი შექმნა დიდ ხარჯებთან არის დაკავშირებული.

მუნიციპალიტეტის თანამშრომლები მიუთითებენ, რომ ასეთ შემთხვევაში, ერთდერითი გამოსავალია, სახელმწიფომ გაითვალისწინოს მოსახლეობის ინტერესები და იზრუნოს ამ დარგის განვითარებაზე.

კულტურების მოყვანა

ხულოს, ქედის და შუახევის მუნიციპალიტეტის წარმომადგენლები და მცირე მეწარმეები ერთმნიშვნელოვნად თანხმდებიან, რომ დასახელებულ მუნიციპალიტეტებში მოყვანილი კულტურები გამოირჩევა ძალიან მაღალი ხარისხით, თუმცა, ფინანსების და სხვა რესურსების არარსებობის გამო მათი მოყვანა და რეალიზება ვერ ხდება სათანადოდ.

ხულოში კულტურებს შორის რეალიზების მხრივ წამყვანია კარტოფილი, ქედაში - თხილი, ხოლო შუახევიში - წიწაკა. სხვა კულტურები ძირითადად შიდა მოხმარებისთვის მოჰყავთ. ფოკუს ჯგუფის შედეგები აჩვენებს, რომ ხშირად ფერმერები სხვათა გამოცდილებაზე დაყრდნობით ირჩევენ, რომელი კულტურა მოიყვანონ. მაგალითად, კვლევაში მონაწილე მუნიციპალიტეტებში ბოლო წლებში პოპულარული გახდა თხილის მოყვანა, რადგან იძლევა მაღალ მოგებას:

„ასაკოვან ხალხს წარმოდგენა არ აქვს თხილი რა შემოსავალს მოიტანს, მაგრამ შვილები, რომლებიც წასული არიან ქალაქში ეუბნებიან, რომ თხილი დარგონ. ხილს იმიტომ რგავენ, რომ უფრო შემოსავლიანი გახდა და ნაკლები მოვლა სჭირდება.“ (მუნიციპალიტეტის თანამშრომლების ფოკუს ჯგუფი, შუახევი)

კულტურების მოყვანასთან დაკავშირებით სამივე მუნიციპალიტეტში აღინიშნება შემდეგი პრობლემები:

- მცირემიწიანობაა და, ამასთანავე, რელიეფის გამო ყველა ტიპის მიწა არ გამოდგება დასამუშავებლად. ნიადაგი უმეტესად ეროზირებულია;
- არ ხდება კულტურების ცვლილება, რის გამოც მიწა გამოფიტულია;
- არ არის შესწავლილი ნიადაგი და მისი თავისებურებები; არ არის შესწავლილი, თუ სად რა კულტურის მოყვანაა მიზანშეწონილი;
- არ ჰყავთ სპეციალისტები, რომლებიც შეამოწმებენ კულტურების მდგომარეობას;
- არ არსებობს სამაცივრე საწყობები;
- მინერალური სასუქები არის დაბალი ხარისხის და მაღალი ღირებულების.

ქედაში ჩატარებულ ფოკუს ჯგუფზე მცირე მეწარმეებმა აღნიშნეს, რომ სასოფლო-სამეურნეო სავარგულების ტერიტორიაზე გაიყვანეს მაღალი ძაბვის ხაზები, რაც აფუჭებს პროდუქციის ხარისხს და წარმოდგენს სერიოზულ საფრთხეს მომუშავე პირთათვის. ასევე, ქედაში არ

არის სარწყავი სისტემა გაყვანილი, კულტურების მორწყვა ბუნებრივი გზით კი არაეფექტურია.

მოყვანილი პროდუქციის რეალიზებასთან დაკავშირებით მუნიციპალიტეტებში აღნიშნება შემდეგი პრობლემები:

- ფერმერებისთვის არ არსებობს კონკრეტული გასაღების ბაზარი. მოსახლეობას თავად უწევს სარეალიზაციო პროდუქტის ტრასპორტირება ბათუმში, რაც მოითხოვს დამატებით რესურსებს;
- პროდუქტის სარეალიზაციო ფასი არის ძალიან დაბალი, რადგან შემდეგ ხდება ფერმერებისგან შეძენილი პროდუქციის „გადაყიდვა“. შესაბამისად, მოგება არის მცირე;
- არ ხდება პროდუქციის ხარისხის კონტროლი და აღნიშნულ მუნიციპალიტეტში მოყვანილი მაღალხარისხიანი პროდუქცია კონკურენციას ვერ უწევს იმპორტირებულ პროდუქტს, რადგან ის უფრო იაფია დაბალი ხარისხიდან გამომდინარე;
- ადგილობრივი მეწარმეები კონკურენციას ვერ უწევენ მსხვილ ორგანიზაციებს.

მცირე მეწარმეები აღნიშნავენ, რომ პროდუქციის მიმღებ საწარმოში ჩაბარების შემთხვევაში მოგება იმდენად მცირეა, რომ მაინც ურჩევენიათ კერძო გაყიდვის გზით მოახდინონ პროდუქციის რეალიზება.

ყოველივე აღნიშნულის გამო, ფერმერებს უმჯობესად მიაჩნიათ, სხვადასხვა კულტურა შიდა მოხმარების მიზნით მოიყვანონ და არა სარეალიზაციოდ. როგორც მუნიციპალიტეტის წარმომადგენლები მიუთითებენ, ამ შემთხვევაში, გამოსავალი არის ადგილობრივი წარმოების შექმნა.

ფოკუს ჯგუფის მონაწილეებმა ასევე ისაუბრეს სხვადასხვა კულტურის მოყვანის პოტენციალზე მათ მუნიციპალიტეტებში. ქედის მუნიციპალიტეტის მცხოვრებლები მიუთითებენ, რომ მაღალი პოტენციალი აქვს ნიორის, ჭარხლის, სტაფილოსა და წიწაკის მოყვანას. ხულოს მუნიციპალიტეტის წარმომადგენლები აღნიშნავენ, რომ მათ მუნიციპალიტეტში პერსპექტიული იქნებოდა თხილის, მოცვის, ნივრის, კარტოფილის, ნიგოზის, ვაშლის, მსხლის, ტყემლის, ქლიავის, თამბაქოს მოყვანა; წყლის გამოშვება. გარდა აღნიშნულისა, მეწარმეების აზრით, პოტენციალი აქვს სხვადასხვა დარგების განვითარებას, როგორცაა: ხულოში - მეფუტკრეობა; შუახევში - ამერიკული კალმახის მოშენება, მეაბრეშუმეობა და სხვა.

ქედის წარმომადგენლები აღნიშნავენ, რომ მათ მუნიციპალიტეტში არ არსებობს მომსახურების ცენტრი, სადაც მოხდება ტექნიკის შეკეთება. შუახევის და ხულოს მუნიციპალიტეტებში მიწის დასამუშავებელ ტექნიკურ საშუალებებზე უფრო მაღალი

ხელმისაწვდომობაა, რადგან არსებობს აგროსერვისცენტრები და სახელმწიფო პროგრამები ტექნიკის შეღავათიან ფასებში შექმენისათვის.

ფოკუს ჯგუფის მონაწილეებმა ასევე შეაფასეს მათი ცოდნა სოფლის მეურნეობის სხვადასხვა დარგში. ისინი მიიჩნევენ, რომ აქვთ მეტ-ნაკლები ცოდნა, თუმცა გარკვეულ სფეროებში სჭირდებათ გადამზადება პრაქტიკული კუთხით. მუნიციპალიტეტის თანამშრომლები მიუთითებენ, რომ არსებობს სოფლის მეურნეობის საინფორმაციო ცენტრები, სადაც ხდება ინფორმაციის გაცვლა. თუმცა, მოსახლეობის ცოდნას, სოფლის მეურნეობის სხვადასხვა დარგთან მიმართებაში, აფასებენ როგორც არასკმარისს და მიუთითებენ კვალიფიციური სპეციალისტების საჭიროებაზე.

“პრობლემაა ისიც, რომ ხანდახან რამე ახალი დაავადება გაჩნდება და არ იციან პრევენციის გზები. მაგალითად, კარტოფილი რომ ჩაუვარდათ, არ იცოდნენ რა შხამ-ქიმიკატები გამოეყენებინათ, რომ დროულად აეცილებინათ პრობლემა” (მუნიციპალიტეტის თანამშრომლების ფოკუს ჯგუფი, ხულო)

ფერმერებს სოფლის მეურნეობასთან დაკავშირებულ საკითხებზე ცოდნა ძირითადად წინა თაობებიდან გადაეცემათ, რის გამოც არ ხდება სიახლეების აქტიურად დანერგვა. ასევე, აღნიშნავენ, რომ საჭიროა ფერმერების გადამზადება ან მაღალკვალიფიციური სპეციალისტების ჩამოყვანა, რომლებიც კონსულტაციას გაუწევენ მათ.

გარდა აღნიშნულისა, ფერმერებისთვის და მცირე მეწარმეებისთვის პრობლემას წარმოადგენს მიწის საკუთრებასთან დაკავშირებული საკითხები. გამომდინარე იქიდან, რომ მოსახლეობის უმრავლესობას არ აქვს დაკანონებული მიწა, მათთვის რისკია უკანონო მიწაზე სასოფლო სამეურნეო საქმიანობის წარმოება.

ფერმერებისთვის ყველაზე მნიშვნელოვან პრობლემას წარმოადგენს ფინანსები. მათთვის არ არის ხელმისაწვდომი დაბალპროცენტიანი სესხები, რაც მათ საქმიანობას ყველაზე მეტად აფერხებს. ისინი ერთმნიშვნელოვნად აღნიშნავენ, რომ აუცილებელია არსებობდეს შეღავათიანი სესხები მათთვის მისაღები პირობებით, სადაც გათვალისწინებული იქნება, რომ ფერმერი მოსავალს რამდენიმე წელში იღებს. ასევე, აუცილებელია არსებობდეს საგადასახადო შეღავათები მათთვის.

სახელმწიფო პროგრამები

ხულოში, ქედისა და შუახევში ხორციელდება სხვადასხვა სახელმწიფო პროგრამა, როგორცაა „მცირე მიწიან ფერმერთა საგაზაფხულო სამუშაოების ხელშეწყობის პროგრამა“, „შეღავათიანი აგროკრედიტის პროგრამა“, „საინფორმაციო პროგრამა“, „აწარმოე საქართველოში“ და სხვა.

პროგრამები მეტ-ნაკლებად წარმატებით ხორციელდება, თუმცა მუნიციპალიტეტის თანამშრომლები საუბრობენ სხვადასხვა ტიპის პრობლემაზე:

- ხულოში მოსახლეობა სარგებლობს პროგრამებით, თუმცა, მიწოდება მოთხოვნას ვერ აკმაყოფილებს, მაგალითად, აგროსესხის შემთხვევაში ვერ გასცემენ საჭირო რაოდენობის კრედიტებს. ასევე, დაბალია მოსახლეობის ინფორმირებულობის დონე აღნიშნულ პროგრამებთან მიმართებაში, რის გამოც ისინი არ არიან აქტიურად ჩართულნი ან არ აქვთ ნდობა აღნიშნული პროგრამების მიმართ.
- ქედში წარუმატებლად განხორციელდა აგროკრედიტების პროგრამა ორი ძირითადი მიზეზის გამო: მოსახლეობის გარკვეულ ნაწილს არ აქვს დარეგისტრირებული მიწა, რის გამოც ვერ იღებს დაფინანსებას; საპროცენტო განაკვეთი არის ძალიან მაღალი, რის გამოც ფერმერები თავს იკავებენ ამ პროგრამით სარგებლობისგან.
- შუახევში არსებული სახელმწიფო პროგრამები არ არის ადგილობრივ საჭიროებებზე მოგრგებელი. მაგალითად, შუახევში არ არის ტრაქტორების საჭიროება, რადგან არ არის შესაბამისი რელიეფი. გარდა ამისა, არ არის გამართული პროგრამების მენეჯმენტი, რის გამოც პროექტების დაფინანსებაზე ფერმერებს ზოგჯერ გაურკვეველი ბიუროკრატიული მიზეზებით უარს ეუბნებიან. მართალია შუახევში არსებობს საინფორმაციო-საკონსულტაციო სამსახური, მაგრამ დასაქმებული აგრონომების რაოდენობა იმდენად მცირეა, რომ ყველა დაინტერესებულ პირს ვერ უწევინ კონსულტაციას.

ადგილობრივი მეწარმეების ჯგუფური დისკუსიის დროს გამოიკვეთა, რომ მათ უმრავლესობას არ აქვს მიღებული მონაწილეობა დასახელებულ პროგრამებში სხვადასხვა მიზეზის გამო, მათ შორის: არაკმარისი ცოდნა იმისა, თუ როგორ უნდა დაიწეროს პროექტი, უყურადღებობა პროექტის კოორდინატორების მხრიდან, პროგრამაში მონაწილეთა ბუნდოვანი კრიტერიუმებით შერჩევა და სხვა.

„ყველა საფრანტო კონკურსში მაქვს მონაწილეობა მიღებული. ერთადერთში გავიმარჯვე შარშანწინ. სხვათა შორის, „აწარმოე საქართველოში“ 15000-იანი პროექტი გავიდა. ჩამოვიდნენ, მომილოცეს, მაგრამ ხელშეკრულება არ გაფორმდა... პასუხი არ მოვიდა... ჩამოვიდნენ, შეამოწმეს ყველაფერი. მერე რომ მოვიკითხე ხელშეკრულება არ გქონდათ გაფორმებულიო. მე დავვერდენი ამ შემთხვევაში ზეპირ შეთანხმებას, სატელეფონო საუბარი მქონდა.“

უმრავლესობა აღნიშნავს, რომ პროგრამებში მონაწილეობას ვერ ღებულობენ, რადგან მათთვის ხემიუწვდომელია კრედიტი მაღალი საპროცენტო განაკვეთის გამო. ფოკუს ჯგუფის მონაწილეები გამოთქვამენ სურვილს, გაიარონ კურსი, რომელიც საშუალებას მისცემს, ისწავლონ პროექტების დაწერა.

სხვა დარგების განვითარება

ქედის, შუახევის და ხულოს ადგილობრივი მეწარმეები აღნიშნავენ, რომ მუნიციპალიტეტებში აღინიშნება სხვადასხვა ტიპის მომსახურების/სერვისის ნაკლებობა. მათ შორის: ბენზინგასამართი სადგურები, რძის გადამამუშავებელი საწარმოები, ხეხილის გადამამუშავებელი ქარხნები, ხილ-ბოსტნის ჩაბარების პუნქტები, საკვები ობიექტები ტურისტებისთვის, საოჯახო სასტუმროები, საპარიკმახეროები, საკონდიტროები, იურიდიული მომსახურების სერვისები, შხამ-ქიმიკატების შემმოწმებელი სტრუქტურა და სხვა. ფოკუს ჯგუფებზე აღინიშნა, რომ საჭიროა გაიხსნას პროფესიული სასწავლებლები, სადაც ასწავლიან სხვადასხვა ტიპის ხელობას/მომსახურებას. ქედაში ჩატარებულ ფოკუს ჯგუფზე მონაწილეებმა აღნიშნეს, რომ მუნიციპალიტეტში არიან მქარგველები, მქსოველები, რეწვის ოსტატები და სხვა., რომელთაც აქვთ პოტენციალი აწარმოონ სხვადასხვა პროდუქცია.

ქედის, შუახევის და ხულოს მუნიციპალიტეტების წარმომადგენლები ერთმნიშვნელოვნად აღნიშნავენ, რომ ყველაზე დიდი პერსპექტივა მათ მუნიციპალიტეტებში ტურიზმის განვითარებას აქვს.

ხულოში არსებობს როგორც სამთო, ისე საზაფხულო ტურიზმის განვითარების პერსპექტივა. არსებობს გამართული სათხილამურო ტერასები. მუნიციპალიტეტის თანამშრომლები მიუთითებენ, რომ ტურიზმის განვითარების მიმართულებით მუშაობა დაწყებულია, მაგალითად, გაიხსნა გოდერძის სამთო-სათხილამურო კურორტი, როლის მიმართ დაინტერესებაც მაღალია. ასევე, დაიწყო ისტორიულ ძეგლებზე ზრუნვა, გაკეთდა მისასვლელი გზები და სხვა.

ხულოს მუნიციპალიტეტში ტურიზმის განვითარებას აფერხებს შემდეგი ძირითადი ფაქტორები:

- არ არის გამართული გზები და მოუწყობელია ინფრასტრუქტურა; არ არსებობს საოჯახო სასტუმროები; მუნიციპალიტეტი არ მარაგდება გაზით;
- არ არის მოწყობილი ტურისტული ობიექტები, მაგალითად, არ არსებობს ისეთი ზამთრის ტექნიკა, როგორცაა სკუტერები, თოვლის მანქანები და ა.შ.;
- მოსახლეობის დაინტერესება, ჩაერთოს ტურიზმის განვითარებაში, ძალიან მაღალია, თუმცა ვერ ერთვებიან შემდეგი მიზეზების გამო: გამომდინარე იქიდან, რომ სახელმწიფოს მხრიდან არ არის გამოყოფილი ფინანსები, ტურიზმის განვითარებაში მათი ჩართვა უნდა მოხდეს თვითდაფინანსების გზით, რისი მატერიალური რესურსიც მათ არ გააჩნიათ; არ გააჩნიათ კვალიფიკაცია ტურიზმის განვითარების მიმართულებით;
- არ ხდება ხულოს, როგორც ტურისტული ობიექტის პოპულარიზება.

მუნიციპალიტეტის წარმომადგენლების და მეწარმეების განცხადებით, ტურიზმის განვითარების პოტენციალი მაღალია ქედაშიც, თუმცა, ამ პროცესს აფერხებს შემდეგი ფაქტორები:

- არ არის მოწყობილი ინფრასტრუქტურა; არ არსებობს საოჯახო სასტუმროები და კვების ობიექტები ტურისტებისთვის;
- მოსახლეობას არ აქვს საკმარისი კვალიფიკაცია ტურიზმის სფეროში: საჭიროა მომზადდეს გიდები და დაინტერესებულ პირებს შეასწავლონ უცხო ენა;
- არ ხდება ქედის, როგორც ტურისტული ობიექტის პოპულარიზება

რაც შეეხება შუახევს, ამ მუნიციპალიტეტშიც უამრავი ისტორიული ძეგლია. როგორც მუნიციპალიტეტის თანამშრომლები აღნიშნავენ, შუახევში წამყვანი სოფლის მეურნეობაა, თუმცა, ტურიზმი შესაძლოა გახდეს მეორადი/დამატებითი შემოსავლის წყარო. არსებობს ზამთრის და ზაფხულის ტურისტული ადგილები, თუმცა, აღინიშნება ანალოგიური პრობლემები:

- ინფრასტრუქტურა გაუმართავია; არ არსებობს საოჯახო სასტუმროები და კვების ობიექტები ტურისტებისათვის;
- არ არსებობს სხვადასხვა ტიპის სერვისები, მაგალითად, საპარიკმახერო;
- არ ხდება შუახევს, როგორც ტურისტული ობიექტის პოპულარიზება.

შეჯამება

ამრიგად, ქედაში, შუახევსა და ხულოში მოსახლეობის საქმიანობის ძირითადი სფერო სოფლის მეურნეობაა. ფერმერები ძირითადად მეცხოველეობით და სხვადასხვა კულტურის მოყვანით არიან დაკავებულნი. გამომდინარე იქიდან, რომ მათ აქვთ მცირე ფინანსური რესურსები და უჭირთ მოყვანილი პროდუქციის რეალიზება, ხშირ შემთხვევაში პროდუქციას შიდა მოხმარებისთვის აწარმოებენ.

მეცხოველეობით დაკავებულნი არიან სამივე მუნიციპალიტეტის ფერმერები, თუმცა ეს სფერო სოფლის მეურნეობის წამყვანი დარგი მხოლოდ შუახევშია. სამივე მუნიციპალიტეტის ფერმერები აწარმოებენ ხორცს და რძის სხვადასხვა პროდუქტს, თუმცა, მათი რეალიზება უჭირთ, რადგან არ არსებობს ადგილობრივი გადამამუშავებელი ქარხნები და უწევთ, პროდუქტის ტრანსპორტირება სავაჭრო ობიექტებამდე ინდივიდუალურად მოახდინონ. მეცხოველეობასთან დაკავშირებულ მნიშვნელოვან პრობლემათა შორისაა საძოვრების სიმცირე, კლიმატი და ცხოველის საკვების სიმცირე.

ქედაში, შუახევსა და ხულოში იწარმოება მაღალხარისხიანი კულტურები, თუმცა, მათი მოყვანა და რეალიზება გარკვეულ პრობლემებს უკავშირდება, რაც გამოწვეულია ფინანსების, მიწის და სხვადასხვა სერვისების ნაკლებობით/არარსებობით. აქედან გამომდინარე, ფერმერებს უმჯობესად მიაჩნიათ, სხვადასხვა კულტურა შიდა მოხმარების მიზნით მოიყვანონ და არა სარეალიზაციოდ.

ფოკუს ჯგუფის მონაწილეები და მუნიციპალიტეტის თანამშრომლები თანხმდებიან, რომ საჭიროა გადამზადდნენ ფერმერები ან მოიწვიონ მაღალკვალიფიციური სპეციალისტები,

რომლებიც ფერმერებს გაუწევენ კონსულტაციას სოფლის მეურნეობასთან დაკავშირებული საკითხების შესახებ.

ქედაში, შუახევსა და ხულოში არსებობს სოფლის მეურნეობის განვითარების ხელშეწყობის სხვადასხვა სახელმწიფო პროგრამა, თუმცა, ზოგი მათანი ვერ ხორციელდება წარმატებით სხვადასხვა მიზეზების გამო, მათ შორისაა: არ არის გათვალისწინებული ფერმერთა ინტერესები და ადგილობრივი რელიეფის თავისებურებები, გაუმართავია პროექტების მენეჯმენტი, ფერმერებს არ აქვთ საკმარისი ინფორმაცია პროექტების შესახებ და სხვა.

აღნიშნულ მუნიციპალიტეტში, სხვა დარგებიდან, განვითარების ყველაზე დიდი პოტენციალი აქვს ტურიზმს და მომსახურების სხვადასხვა სფეროს, მათ შორის საწარმოებს, ჩაბარების პუნქტებს, გადამამუშავებელ ქარხნებს, საოჯახო სასტუმროებს, კვების ობიექტებს და სხვა.